პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

ქ. თბილისი **2019 წელი**

დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობები“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი აგვისტოდან.

პრემიერ–მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობები“ (შემდგომში - წესი) არეგულირებს დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობებს, მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ამ წესის მიზანია დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის (შემდგომში - გასამრავლებელი მასალა) ბაზარზე განთავსებისთვის შესაბამისი პირობების შემუშავება.

2. ეს წესი ვრცელდება ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილ გასამრავლებელ მასალაზე.

3. ეს წესი არ ვრცელდება გასამრავლებელი მასალის ექსპორტზე.

4. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება გასამრავლებელ მასალაზე, რომელიც განკუთვნილია:

ა) ცდის, სამეცნიერო ან კვლევითი მიზნებისთვის;

ბ) გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დეკორატიული მცენარეები - კულტურული და ველური მცენარეების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენლებს, რომლებიც ბიოლოგიური თავისებურებების მიხევით იყოფა რამდენიმე ჯგუფად: ხეები და ბუჩქები, მრავალწლოვანი, ორწლოვანი, ერთწლოვანი, ბალახოვანი, მარცვლოვანი, ბოლქვოვანი და სხვა მცენარეები.

ბ) გასამრავლებელი მასალა - დეკორატიული მცენარის ცალკეული ნაწილები ან მთლიანად მცენარეული მასალა, მათ შორის საძირეები, რომლებიც

განკუთვნილია დეკორატიული მცენარეების გამრავლების, წარმოებისა და ბაზარზე განთავსებისათვის;

გ) გამრავლება - დეკორატიული მცენარეების გავრცელება ვეგეტატიური ნაწილებით ან სხვა საშუალებებით;

დ) პარტია - ერთი საქონლის საცალო რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია მისი შემადგენლობისა და წარმოშობის ერთგვაროვნების მიხედვით;

ე) კრიტიკული წერტილი - ეტაპი, რომელზეც შესაძლებელია გასამრავლებელ მასალაზე შიდა საწარმოო კონტროლის გამოყენება, ფიტოსანიტარიული რისკის თავიდან ასაცილებლად, ან აღმოსაფხვრელად.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები თუ ამ ტექნიკური რეგლამენტით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 4. გასამრავლებელი მასალისადმი დაწესებული მოთხოვნები

1. გასამრავლებელი მასალა გამოყენების დროს უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით და მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ბაზარზე განთავსებისას გასამრავლებელი მასალა:

ა) ვიზუალური შემოწმებისას არ უნდა იყოს დასნებოვნებული მავნე ორგანიზმით ან მათზე არ უნდა აღინიშნებოდეს მავნე ორგანიზმებით დაზიანების სიმპტომები;

ბ) არ უნდა ჰქონდეს ისეთი ფიზიკური დეფექტი, რომელიც გავლენას იქონიებს

მის სიცოცხლისუნარიანობაზე და გამრავლების უნარზე;

გ) თესლის შემთხვევაში უნდა იყოს აღმოცენების უნარის მქონე;

დ) უნდა იყოს ჯიშობრივად იდენტური და წმინდა, თუ ის ბაზარზე განთავსებულია ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 და მე- 4 პუნქტების შესაბამისად.

3. ნებისმიერი გასამრავლებელი მასალა, რომელშიც აღმოჩნდება მავნე ორგანიზმები, სათანადოდ უნდა დამუშავდეს, ან საჭიროების შემთხვევაში განადგურდეს.

4. ციტრუსების შემთხვევაში გასამრავლებელი მასალა უნდა

აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მიღებული უნდა იყოს ისეთი საწყისი გასამრავლებელი მასალისაგან, რომელზეც შემოწმების შემდეგ არ გამოვლენილა ვირუსის, ვირუსის მსგავსი ორგანიზმების, ან სხვა დაავადებების სიმპტომები;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ უნდა შემოწმდეს და დადგინდეს, რომ გასული წლის ვეგეტაციიდან დაწყებული, გასამრავლებელი მასალა პრაქტიკულად თავისუფალია ვირუსების, ვირუსის მაგვარი ორგანიზმების, ან სხვა დაავადებებისაგან;

გ) დამყნობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს ვიროიდებისაგან თავისუფალი საძირე.

5. ყვავილების ბოლქვების გასამრავლებელი მასალა პირდაპირ უნდა იყოს მიღებული ისეთი მასალისგან, რომელიც ვეგეტაციის პერიოდში იყო გამოკვლეული და დადგინდა, რომ ის პრაქტიკულად თავისუფალია რაიმე სახის მავნე ორგანიზმებისაგან, მათი ნიშნების ან სიმპტომებისგან.

მუხლი 5. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები

1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება შეუძლია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორს, თუ მის მიერ ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი გასამრავლებელი მასალა აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) წარმოების პროცესში განსაზღვროს და შეამოწმოს კრიტიკული წერტილები, რომლებიც გავლენას ახდენს გასამრავლებელი მასალის ხარისხზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში აიღოს ნიმუში აკრედიტებულ ლაბორატორიაში შემოწმებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უზრუნველყოს, რომ წარმოების პროცესში გასამრავლებელი მასალის პარტიები იყოს იდენტიფიცირებადი;

დ) გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას, მათი ყიდვა-გაყიდვის თაობაზე აწარმოოს ჩანაწერები და შეინახოს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში;

ე) აწარმოოს ჯიშების რეესტრი, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების მითითებით;

ვ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ჩანაწერები ამ პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტიკული წერტილების შემოწმების შედეგების, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია გასამრავლებელი მასალის მოყვანისთვის განკუთვნილ ფართობზე გამოვლენილი რეგულირებადი მავნე ორგანიზმების შესახებ და გაატაროს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ღონისძიებები.

-მუხლი 6. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება, ეტიკეტირება

1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება უნდა მოხდეს პარტიებად. დასაშვებია გასამრავლებელი მასალის სხვადასხვა პარტიის დაჯგუფება და ბაზარზე განთავსება, ამასთან დაკავშირებით ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს და შეინახოს პარტიის შემადგენლობისა და წარმოშობის თაობაზე ჩანაწერები.

2. გასამრავლებელ მასალას ბაზარზე განთავსებისას თან უნდა ახლდეს ეტიკეტი/მცენარის პასპორტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება უნდა მოხდეს ჯიშის მითითებით თუ ეს ჯიში:

ა) აკმაყოფილებს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, როგორც ახალი ჯიში;

ბ) ოფიციალურად რეგისტრირებულია;

გ) საყოველთაოდ ცნობილია;

დ) შეტანილია ამ წესის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ რეესტრში.

4. თუ გასამრავლებელი მასალა ბაზარზე განთავსებულია არა ჯიშის, არამედ მცენარეთა ჯგუფის მიხედვით, ბიზნესოპერატორმა უნდა მიუთითოს მცენარეთა ეს ჯგუფი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ჯიშის სახელწოდების არევა.

მუხლი 7. სახელმწიფო კონტროლი

1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. თუ აღმოჩნდა, რომ ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული გასამრავლებელი მასალა არ შეესაბამება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს,

ბიზნესოპერატორის მიმართ უნდა გატარდეს საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით განსაზღვრული ღონისძიებები.

3. საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნებთან გასამრავლებელი მასალის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, აღებული უნდა იქნეს ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განმარტებითი ბარათი

„დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის თავი 4, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, დანართი XI ბ). მათ შორის არის ევროსაბჭოს 1998 წლის 20 ივლისის №98/56/EC დირექტივა, რომელიც ადგენს „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის მარკეტინგს“ (COUNCIL DIRECTIVE 98/56/EC of 20 July 1998 on the marketing of propagating material of ornamental plants).

პროექტი შემუშავებულია ზემოხსენებული ევროსაბჭოს 1998 წლის 20 ივლისის №98/56/EC დირექტივის და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

პროექტი არეგულირებს დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობებს, მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროექტის მიზანია დეკორატიული მცენარეების გამრავლებისათვის საჭირო მასალის მიღება, მათი ბაზარზე განთავსებისთვის შესაბამისი პირობების შემუშავება. წესი ვრცელდება ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილ გასამრავლებელ მასალაზე, ხოლო არ ვრცელდება გასამრავლებელი მასალის ექსპორტზე, ასევე, არ ვრცელდება გასამრავლებელ მასალაზე, რომელიც განკუთვნილია: ცდის, სამეცნიერო ან კვლევითი მიზნებისთვის და გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა გასამრავლებელი მასალისადმი დაწესებული მოთხოვნები, ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისათვის ეტიკეტირების პირობები.

პროექტის თანახმად, გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია ევროსაბჭოს 1998 წლის 20 ივლისის №98/56/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ადგენს „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის მარკეტინგს“ (COUNCIL DIRECTIVE 98/56/EC of 20 July 1998 on the marketing of propagating material of ornamental plants).

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს დეკორატიული მცენარეების გამრავლებისათვის საჭირო მასალის მიღებას და მათი ბაზარზე განთავსებისთვის შესაბამისი პირობების შემუშავებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2020 წლის პირველი აგვისტოდან, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის მომზადებას ახალი რეგულაციებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №1[1]

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

საბჭოს დირექტივა 98/56/EC **დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალის მარკეტინგის შესახებ**	**N1 „დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი** **N2.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო

1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	**№ 1**	**მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)**	ნორმის ტექსტი	**შესაბამისობა**	**შენიშვნები**

ნაწილი I მიზანი **მუხლი 1**	ეს დირექტივა გამოყენებული უნდა იყოს დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალის თანამეგობრობაში მარკეტინგის მიმართ. ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს (EC) No 338/97 რეგულაციაში მითითებულ ველური ფლორის დაცვის წესებს, ეს წესები შეფუთვის და შეფუთვის ნარჩენების შესახებ მითითებულია ევროპარლამენტის და საბჭოს (2) დირექტივაში (EC) No 338/97, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ამ დირექტივაში, ან მის საფუძველზე, მცენარის ჯანმრთელობის წესები მითითებულია დირექტივაში 77/93/EEC.	№ 1	**მუხლი1** **მუხლი 2.**	„დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობები“ (შემდგომში - წესი) არეგულირებს დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობებს, მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. 1. ამ წესის მიზანია დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის (შემდგომში - გასამრავლებელი მასალა) ბაზარზე განთავსებისთვის შესაბამისი პირობების შემუშავება. 2. ეს წესი ვრცელდება ბიზნესოპერატორის მიერ ადგილობრივ ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილ გასამრავლებელ მასალაზე.	სშ	
	ეს დირექტივა არ უნდა იყოს გამოყენებული: — მასალის მიმართ, რომელიც გამიზნული უნდა იყოს იმ მესამე ქვეყნებში ექსპორტისთვის, რომელიც უნდა განისაზღვროს, და ინახებოდეს საკმაოდ იზოლირებულად.	№ 1		3. ეს წესი არ ვრცელდება გასამრავლებელი მასალის ექსპორტზე.		

	— მასალები, რომელთა პროდუქტები არ არის გამიზნული დეკორატიული მიზნებისთვის, თუკი ის გათვალისწინებულია ასეთი მასალის მარკეტინგის შესახებ თანამეგობრობის სხვა კანონმდებლობით.				ას	არ არის მიზანშეწონილი ასეთი ჩანაწერის გაკეთება, იქიდან გამოდინარე, რომ სხვა მცენარეებზე არსებობს სხვა ნორმატიული აქტები, რომელიც არეგულირებენ მათ ბაზარზე განთავსების პირობებს.
	3. მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, შესაძლოა გადაწყდეს, რომ ამ დირექტივის ზოგიერთი ან ყველა მოთხოვნა არ იყოს გამოყენებული კონკრეტული სახეობების ან მცენარეთა ჯგუფების თესლის მიმართ, რომლებიც გამიზნულია შემდგომი სარგავი მასალის წარმოებისთვის და როცა არ არის მნიშვნელოვანი კავშირი ასეთი თესლის ხარისხსა და მისგან მოყვანილ მასალის ხარისხს შორის.				ას	

ნაწილი II განმარტებები მუხლი 2	ამ დირექტივასთან დაკავშირებით, გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი განმარტებები: 1. ‘სარგავი მასალა“: მცენარეული მასალა გამიზნულია: — დეკორატიული მცენარეების გასავრცელებლად, ან — დეკორატიული მცენარეების საწარმოებლად; თუმცა კომპლექსური ქარხნებში წარმოების შემთხვევაში, ეს განმარტება გამოიყენება მხოლოდ იმ პირობით, რომ მიღებული დეკორატიული მცენარე გამიზნული იქნება შემდგომი მარკეტინგისთვის . ‘გავრცელება“: რეპროდუქცია ვეგეტატიური ან სხვა საშუალებით.	№ 1	**მუხლი 3.**	1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) გასამრავლებელი მასალა - დეკორატიული მცენარის ცალკეული ნაწილები ან მთლიანად მცენარეული მასალა, მათ შორის საძირეები, რომლებიც განკუთვნილია დეკორატიული მცენარეების გამრავლების, წარმოებისა და ბაზარზე განთავსებისათვის; ბ) გამრავლება - დეკორატიული მცენარეების გავრცელება ვეგეტატიური ნაწილებით ან სხვა საშუალებებით;		
	2. ‘Supplier’: any natural or legal person engaged professionally in marketing or importing of propagating material. 2. ‘მომწოდებელი“: ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიონალურად ჩართულია მარკეტინგში ან სარგავი მასალის იმპორტირებაზე.	№ 2	მუხლი 2.	„ყ) ბიზნესოპერატორი – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში	სშ	

				მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის;“		
	3. ‘მარკეტინგი“: მიმწოდებლის მიერ მეორე პირისთვის მიყიდვა ან მიწოდება. ‘გაყიდვა“ მოიცავს მიწის ნაკვეთზე ან მარაგში არსებულს, რომელიც წარმოდგენილია გაყიდვის ან გაყიდვის შეთავაზების მიზნით.	№ 2	მუხლი 2.	„ჰ) ბაზარზე განთავსება – ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, აგრეთვე გადაცემის სხვა ფორმები;“	სშ	
	4. ‘პასუხისმგებელი ოფიციალური ორგანო“: (ა) ორგანო, რომელიც შექმნილია ან გამიზნულია წევრი სახელმწიფოს მიერ ეროვნული მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ და პასუხისმგებელია ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე; (b) ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო შექმნილია: — ეროვნულ დონეზე, ან — რეგიონულ დონეზე, ეროვნული სახელისუფლებლო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, დაინტერესებული	№ 1	მუხლი 7.	1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.	სშ	

	წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. ზემოთ მითითებულ ორგანოებს შეუძლიათ, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დირექტივაში მითითებული მათი უფლებამოსილების და ზედამხედველობის ქვეშ განსახორციელებელი დავალებები გადასცენ ნებისმიერ იურიდიულ პირს, მიუხედავად იმის ა იმართებიან თუ არა ისინი საჯარო ან კერძო სამართლის საშუალებით, რომელიც მისი ოფიციალურად დამტკიცებული კონსტიტუციის შესაბამისად დატვირთულია ექსკლუზიურად კონკრეტული საჯარო ფუნქციებით, იმ პირობით, რომ ასეთ პირს, და მის წევრებს არ ექნებათ განხორციელებული ღონისძიებების შედეგების მიმართ პირადი ინტერესი. უფრო მეტიც, მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, (ა) პუნქტში მითითებული ორგანოს სახელით შექმნილი სხვა იურიდიულ პირს , რომელიც მოქმედებს ასეთი ორგანოს უფლებამოსილების და ზედამხედველობის ქვეშ, შეიძლება დამტკიცდეს, იმ პირობით, რომ ასეთი პირს არ ექნება განხორციელებული ღონისძიებების შედეგების მიმართ პირადი ინტერესი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას მათი პასუხისმგებელი ოფიციალური ორგანოების					

	შესახებ. კომისიამ უნდა გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია სხვა წევრ სახელმწიფოებს.					
	5. „ლოტი“: ერთი საქონლის ცალობითი რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია მისი შემადგენლობისა და წარმოშობის ერთგვაროვნების მიხედვით.	№ 1	მუხლი 3.	გ) პარტია - ერთი საქონლის ცალობითი რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია მისი შემადგენლობისა და წარმოშობის ერთგვაროვნების მიხედვით;		
□□□□ □□ III მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სანერგე მასალამ მუხლი 3	1. მომწოდებლებს შეუძლია გაყიდონ გასავრცელებელი მასალა მხოლოდ, მაშინ თუ ის აკმაყოფილებს ამ დირექტივაში მითითებულ მოთხოვნებს.	№ 1	მუხლი 5	1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება შეუძლია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორს, თუ მის მიერ ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი გასამრავლებელი მასალა აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.		

	2. 1 პარაგრაფი არ უნდა იყოს გამოყენებული სარგავი მასალის მიმართ, რომელიც გამიზნულია: (ა) გამოცდების ან მეცნიერული მიზნებისთვის, (ბ) სელექციური სამუშაოსთვის, ან (გ) გენეტიკური მრავალფეროვნების კონსერვაციისთვის.	N 1	მუხლი 2	4. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება გასამრავლებელ მასალაზე, რომელიც განკუთვნილია: ა) ცდის, სამეცნიერო ან კვლევითი მიზნებისთვის; ბ) გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.		
	3. მე-2 პარაგრაფის გამოყენების დეტალური წესები შეიძლება მიღებული იყოს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.				ას	
მუხლი 4	სარგავი მასალა, გამოყენების დროს უნდა შეესაბამებოდეს 77/93/EEC დირექტივაში მითითებულ შესაბამის მცენარის ჯანმრთელობის პირობებს.	N 1	მუხლი 4	1. გასამრავლებელი მასალა გამოყენების დროს უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით და მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.	სშ	
მუხლი 5	1. 1 მუხლის და მე-4 მუხლის დებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, გასავრცელებელი მასალა, როცა ხდება მისი რეალიზაცია: - სულ მცირე ვიზუალური ინსპექტირებით, არსებითად არ უნდა შეინიშნებოდეს ნებისმიერი საშიში ორგანიზმების მიერ ხარისხის გაუარესება,	N 1	მუხლი 4	2. ბაზარზე განთავსებისას გასამრავლებელი მასალა: ა) ვიზუალური შემოწმებისას არ უნდა იყოს დასნებოვნებული მავნე ორგანიზმით ან მათზე არ უნდა აღინიშნებოდეს მავნე ორგანიზმებით დაზიანების სიმპტომები;	სშ	

	ან ნებისმიერი ნიშანი ან სიმპტომი, რომელიც ამცირებს მის სარგებლიანობას, - არსებითად თავისუფალია ხარვეზისგან, რომელმაც შესაძლოა გააუარესოს მისი როგორც სანერგე მასალის ხარისხი, - უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი სიცოცხლისუნარიანობა და ზომები მისი, როგორც სარგავი მასალის სარგებლიანობასთან დაკავშირებით, - თესლის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი გაღივების შესაძლებლობა, - თუ რეალიზაცია ხდება მე-9 მუხლის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ჯიშური იდენტობა და სიწმინდე.			ბ) არ უნდა ჰქონდეს ისეთი ფიზიკური დეფექტი, რომელიც გავლენას იქონიებს მის სიცოცხლისუნარიანობაზე და გამრავლების უნარზე; გ) თესლის შემთხვევაში უნდა იყოს აღმოცენების უნარის მქონე; დ) უნდა იყოს ჯიშობრივად იდენტური და წმინდა, თუ ის ბაზარზე განთავსებულია ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 და მე- 4 პუნქტების შესაბამისად.		
	2. ნებისმიერი სარგავი მასალა, რომელშიც ხილული ნიშნების ან სიმპტომების მიხედვით იქნება მნიშვნელოვანი რაოდენობის საშიში ორგანიზმები, სათანადოდ უნდა დამუშავდეს, ან თუ საჭიროა, მოცილდეს.	N 1	მუხლი 4	3. ნებისმიერი გასამრავლებელი მასალა, რომელშიც აღმოჩნდება მავნე ორგანიზმები, სათანადოდ უნდა დამუშავდეს, ან საჭიროების შემთხვევაში განადგურდეს.	სშ	
	3. ციტრუსული მცენარეების შემთხვევაში ასევე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:	N 1	მუხლი 4	4. ციტრუსების შემთხვევაში გასამრავლებელი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:	სშ	

	(ა) ის მიღებული უნდა იყოს თავდაპირველი მასალისგან, რომელიც შემოწმდა და არ გამოვლენილა რაიმე ვირუსის, ვირუსის მსგავსი ორგანიზმების ან დაავადებების სიმპტომები; (ბ) ის უნდა შემოწმდეს და გამოვლინდეს, რომ არ არის ასეთი ვირუსები, ვირუსის მსგავსი ორგანიზმები ან დაავადებები ვეგეტაციის ბოლო ციკლის დაწყებიდან; და (გ) გადანერგვის შემთხვევაში, ის უნდა გადაირგოს ვიროიდებს არ დაქვემდებარებისგან განსხვავებულ ჩითილებზე			ა) მიღებული უნდა იყოს ისეთი გასამრავლებელი საწყისი მასალისაგან, რომელზეც შემოწმების შემდეგ არ გამოვლენილა ვირუსის, ვირუსის მსგავსი ორგანიზმების, ან სხვა დაავადებების სიმპტომები; ბ) ბიზნესოპერატორის მიერ უნდა შემოწმდეს და დადგინდეს, რომ გასული წლის ვეგეტაციიდან დაწყებული, გასამრავლებელი მასალა პრაქტიკულად თავისუფალია ვირუსების, ვირუსის მაგვარი ორგანიზმების, ან სხვა დაავადებებისაგან; გ) დამყნობილ უნდა იქნეს ვიროიდებისაგან თავისუფალ საძირეზე.		
	4. ყვავილის ბოლქვების შემთხვევაში, ასევე უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნები: - სარგავი მასალა მიღებული უნდა იყოს უშუალოდ მასალისგან, რომელიც მოყვანილია მაგრამ არ არის ჯერ აღებული, შემოწმდა და აღმოჩნდა, რომ არ აქვს რაიმე საშიში ორგანიზმები და დაავადებები, ან მის ნიშნები ან სიმპტომები.	N 1	მუხლი 4	5. ყვავილების ბოლქვების გასამრავლებელი მასალა პირდაპირ უნდა იყოს მიღებული ისეთი მასალისგან, რომელიც ვეგეტაციის პერიოდში იყო გამოკვლეული და დადგინდა, რომ ის პრაქტიკულად თავისუფალია რაიმე სახის მავნე ორგანიზმებისაგან, მათი ნიშნების ან სიმპტომებისგან.	სშ	

	5. მე-18 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად , კონკრეტული ტიპისა ან სახეობებისთვის უნდა განისაზღვროს განრიგი, რომელშიც მითითებული იქნება ხარისხთან დაკავშირებული დამატებითი პირობები, რომელთან დაკავშირებითაც სარგავი მასალა რეალიზაციის დროს უნდა იყოს ხარისხის ნორმების შესაბამისი. ნებისმიერი ტიპი ან სახეობა შეტანილი უნდა იყოს განრიგში, თუ ასეთი დამატებითი წესების საჭიროება არსებობს. ასეთი საჭიროების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები: - საინტერესო სახეობის ან კლასის სარგავი მასალის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ დამაკმაყოფილებლად საკანონმდებლო საშუალებების თვალსაზრისით, - აღნიშნული სახეობის ან კლასის სარგავი მასალის ეკონომიკური მნიშვნელოვანი, - რეგულირებადი არასაკარანტინო მავნებლების ნებისმიერ საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა.				ას	
ნაწილი IV მოთხოვნები,	1. მე-2 პარაგრაფისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მომწოდებლები ოფიციალურად უნდა დარეგისტრირდნენ იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ახორციელებენ ამ	N 1	მუხლი 5.	1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება შეუძლია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ	სშ	

რომელიც უნდა დააკმაყოფილონ სარგავი მასალის მომწოდებლებმა მუხლი 6	დირექტივის შესაბამისად. პასუხიმგებელმა ოფიციალურმა ორგანომ შესაძლოა 77/93/EEC დირექტივის შესაბამისად უკვე რეგისტრირებული მომწოდებლები ჩათვალოს რეგისტრირებულად ამ დირექტივასთან დაკავშირებით. ასეთი მომწოდებლები მიუხედავად ამისა, უნდა შეესაბამებოდეს არსებული დირექტივის მოთხოვნებს.			ბიზნესოპერატორს, თუ მის მიერ ბაზარზე განთავსებისთვის განკუთვნილი გასამრავლებელი მასალა აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.		
	2. 1 პარაგრაფი არ უნდა გამოიყენებოდეს მომწოდებლების მიმართ, რომლებიც ვაჭრობენ მხოლოდ პირებთან, რომლებიც პროფესიული თვალსაზრისით არ არიან ჩართული დეკორატიული მცენარეების ან სარგავი მასალის წარმოებასა ან გაყიდვაში. ასეთი მომწოდებლები მიუხედავად ამისა, უნდა შეესაბამებოდეს არსებული დირექტივის მოთხოვნებს.				ას	სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად ბიზნესოპერატორი არ არის დაყოფილი პროფესიონალ დ

						არაპროფესიონალ პირებად, ამასთან ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ამ კოდექსით გათვალისწინებუ ლი სურსათის/ცხოვე ლის საკვების სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ სურსათის/ცხოვე ლის საკვების წარმოებაზე, ასევე პირველად წარმოებაზე , რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად არის ოჯახური

						წარმოების სუბიექტი (შემდგომ – ოჯახური წარმოების სუბიექტი).“
მუხლი 7	1. სარგავი მასალის წარმოებაში ჩართულმა მომწოდებლებმა უნდა : - გამოავლინონ და შეამცირონ რთული მომენტები მათი წარმოების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ მასალის ხარისხზე, - შეინახონ პირველი განზრახვაში მითითებული მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია შემოწმებისთვის, როცა ამას მოითხოვს პასუხისმგებელი ოფიციალური ორგანო	N 1	მუხლი 5.	2. ბიზნესოპერატორი ვალდებულია: ა) წარმოების პროცესში განსაზღვროს და შეამოწმოს კრიტიკული წერტილები, რომლებიც გავლენას ახდენენ გასამრავლებელი მასალის ხარისხზე; ვ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ჩანაწერები ამ პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტიკული წერტილების შემოწმების შედეგების, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების	სშ	

	- აუცილებლობის შემთხვევაში აიღოს ნიმუშები შესაფერისი მოწყობილობებისა და გამოცდილების მქონე ლაბორატორიაში ანალიზისთვის, -უზრუნველყონ, რომ წარმოების დროს სარგავი მასალის ლოტები ცალკე დაექვემდებაროს იდენტიფიკაციას.			შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია გასამრავლებელი მასალის მოყვანისთვის განკუთვნილ ფართობზე გამოვლენილი რეგულირებადი მავნე ორგანიზმების შესახებ და გაატაროს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ღონისძიებები. ბ) საჭიროების შემთხვევაში აიღოს ნიმუშები აკრედიტებულ ლაბორატორიაში შემოწმებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) უზრუნველყოს, რომ წარმოების პროცესში გასამრავლებელი მასალის პარტიები იყოს იდენტიფიცირებადი;		
	2. იმ შემთხვევაში, თუ შენობაში, სადაც მომწოდებელი ჩართულია სარგავი მასალის წარმოებაში აღმოჩნდება 77/93/EEC დირექტივაში ან 5(5) მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ნებისმიერ ღონისძიებაში ჩამოთვლილი საშიში ორგანიზმები, მომწოდებლებმა უნდა მოახსენონ პასუხისმგებელ ოფიციალურ ორგანოს და განახორციელონ ამ ორგანოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ღონისძიება.	N 1	მუხლი 5.	ე) აწარმოოს ჯიშების რეესტრი, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების მითითებით; ვ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოთხოვნის	სშ	

				შემთხვევაში წარუდგინოს ჩანაწერები ამ პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტიკული წერტილების შემოწმების შედეგების, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია გასამრავლებელი მასალის მოყვანისთვის განკუთვნილ ფართობზე გამოვლენილი რეგულირებადი მავნე ორგანიზმების შესახებ და განახორციელოს გაატაროს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ღონისძიებები.		
	3. როცა ხდება სარგავი მასალის რეალიზაცია, რეგისტრირებულმა მომწოდებლებმა უნდა აწარმოონ მათი ყიდვა-გაყიდვის ჩანაწერები სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.	N 1	მუხლი 5.	დ) გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას, მათი ყიდვა-გაყიდვის თაობაზე აწარმოოს ჩანაწერები და შეინახოს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში;	სშ	
	4. ზემოთ 1 პარაგრაფის დებულებების გამოყენების წესები შესაძლოა განისაზღვროს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.				ას	
ნაწილი V	1. სარგავი მასალის რეალიზაცია უნდა მოხდეს ლოტებად. თუმცა სხვადასხვა ლოტების სარგავი	N 1	მუხლი 6	1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსება უნდა მოხდეს	სშ	

სარგავი მასალის რეალიზაცია და ეტიკეტირება, მუხლი 8	მასალა შეიძლება გაიყიდოს ერთ პარტიად იმ პირობით, რომ მომწოდებელს ექნება სხვადასხვა ლოტების შემადგენლობისა და წარმოშობის ჩანაწერები.			პარტიებად. დასაშვებია გასამრავლებელი მასალის სხვადასხვა პარტიის დაჯგუფება და ბაზარზე განთავსება, ამასთან დაკავშირებით ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს და შეინახოს პარტიის შემადგენლობისა და წარმოშობის თაობაზე ჩანაწერები.		
	2. სარგავ მასალას, რეალიზაციის დროს თან უნდა ახლდეს ერტიკეტი მომწოდებლის მიერ გაფორმებული სხვა დოკუმენტი.	N 1	მუხლი 6	2. გასამრავლებელ მასალას ბაზარზე განთავსებისას თან უნდა ახლდეს ეტიკეტი/მცენარის პასპორტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.	სშ	
	3. მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, უნდა განისაზღვროს მე-2 პარაგრაფში მითითებული ეტიკეტის ან დოკუმენტის მიმართ მოთხოვნები. დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალის წარმოებასა და გაყიდვაში არაპროფესიულად ჩართული პირებისთვის სარგავი მასალის მიყიდვის შემთხვევაში, ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლოა შემოიფარგლოს პროდუქტის სათანადო				ას	

	ინფორმაციით. სარგავი მასალის შეფუთვასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლოა მიღებული იყოს იმავე პროცედურის შესაბამისად.					
	4. 1-ლი პარაგრაფი არ უნდა იყოს გამოყენებული სარგავი მასალის მიმართ, რომლის რეალიზება ხდება დეკორატიული მცენარეების ან სარგავი მასალის წარმოებაში ან რეალიზაციაში არა პროფესიულად ჩართული პირებისთვის.					სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად ბიზნესოპერატორი არ არის დაყოფილი პროფესიონალ და არაპროფესიონალ პირებად, ამასთან, ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ამ კოდექსით გათვალისწინებული

						სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაზე, ასევე პირველად წარმოებაზე , რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად არის ოჯახური წარმოების სუბიექტი (შემდგომ – ოჯახური წარმოების სუბიექტი).“
მუხლი 9	1. სარგავი მასალა შეიძლება გაიყიდოს ჯიშის მითითებით, მხოლოდ თუ აღნიშნული სახეობა : — კანონიერად არის დაცული მცენარის ჯიშების დაცვის უფებით ახალი ჯიშების დაცვის შესახებ დებულებების შესაბამისად, ან	N 1	მუხლი 6	3. გასამრავლებელი მასალა ბაზარზე განთავსდება ჯიშის მითითებით თუ ეს ჯიში: ა) აკმაყოფილებს „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“	სშ	

	— ოფიციალურად რეგისტრირებული, ან — ზოგადად ცნობილი, ან — შეტანილია მომწოდებლის მიერ წარმოებულ სიაში მისი დეტალური აღწერით და დენომინაციით. ასეთი სია უნდა მომზადდეს მიღებული საერთაშირისო გაიდლაინების შესაბამისად, სადაც კი ეს გამოიყენება. ეს სიები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებელი ოფიციალური ორგანოსთვის		მუხლი 5	საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, როგორც ახალი ჯიში; ბ) ოფიციალურად რეგისტრირებულია; გ) საყოველთაოდ ცნობილია; დ) შეტანილია ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში. ვ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ჩანაწერები ამ პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტიკული წერტილების შემოწმების შედეგების, ჯიშების ჩამონათვალის, მათი დეტალური აღწერილობისა და სახელწოდების შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია გასამრავლებელი მასალის		

				მოყვანისთვის განკუთვნილ ფართობზე გამოვლენილი რეგულირებადი მავნე ორგანიზმების შესახებ და განახორციელოს გაატაროს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ღონისძიებები.		
	2. რამდენადაც ეს შესაძლებელია, თვითოეულ ჯიშს უნდა ჰქონდეს ერთნაირი დენომინაცია ყველა წევრ სახელმწიფოში განმახორციელებელი ღონისძიებების შესაბამისად, რომელიც შეიძლება მიღებული იყოს მე-17 მუხლში მითითებული დებულებების შესაბამისად, ან მათი არარსებობის დროს, მიღებული საერთაშორისო გაიდლაინების შესაბამისად.				ას	
	3. როცა სარგავი მასალა იყიდება მცენარეთა ჯგუფის მითითებით და არა 1 პარაგრაფში მითითებული ჯიშის მიხედვით, მომწოდებელმა უნდა მიუთითოს მცენარეთა ჯგუფი იმგვარად, რომ არ მოხდეს ნებისმიერი ჯიშში დენომინაციასთან არევა.	N 1	მუხლი 6	4. თუ გასამრავლებელი მასალა ბაზარზე განთავსებულია არა ჯიშის, არამედ მცენარეთა ჯგუფის მიხედვით, ბიზნესოპერატორმა უნდა მიუთითოს მცენარეთა ეს ჯგუფი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ჯიშის სახელწოდების არევა.	სშ	
	4. 1-ლი პარაგრაფის მეოთხე განზრახვის დებულებებთან დაკავშირებით დამატებითი განხორციელების დებულებები შესაძლოა				ას	

	მიღებული იყოს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.					
ნაწილი VI სარგავი მასალა, რომელიც აკმაყოფილებს ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს მუხლი 10	იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება დროებითი სირთულეები სარგავი მასალის მიწოდებაში, რომელიც აკმაყოფილებს ამ დირექტივაში მითითებულ მოთხოვნებს, რომელთა დაძლევა არ მოხდება თანამეგობრობის ფარგლებში შესაძლო მიღებული იქნას წესები მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, რომელიც ეხება სარგავი მასალის რეალიზაციას და აკმაყოფილებს ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს.				ას	
ნაწილი VII მესამე ქვეყნებში წარმოებული	1. მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს მესამე ქვეყნებში წარმოებული სარგავი მასალა უზრუნველყოფს ეკვივალენტურ გარანტიებს ყველა თვალსაზრისით მასალების მიმართ, რომელიც წარმოებულია თანამეგობრობაში წინამდებარე დირექტივის შესაბამისად.				ას	

სარგავი მასალა მუხლი 11						
	2. 1-ლ პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილების მიხედვით სარგავი შესაძლოა იმპორტირებული იყოს მესამე ქვეყნებიდან, სანამ იპორტიორი მომწოდებელი იმპორტამდე არ უზრუნველყოფს, რომ წარმოებულ სარგავ მასალასთან დაკავშირებით იმპორტირებული მასალა უზრუნველყოფდეს ეკვივალენტურ გარანტიებს ყველა თვალსაზრისით თანამეგობრობაში ამ დირექტივის შესაბამისად, კონკრეტულად ხარისხთან, იდენტიფიკაციასა და მცენარის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. 3. იმპორტიორმა უნდა აცნობოს პასუხისმგებელ ოფიციალურ ორგანოებს მე-2 პარაგრაფის შესაბამისად იმპორტირებული მასალის შესახებ და უნდა იქონიოს მესამე ქვეყანაში მომწოდებელთან გაფორმებული ამ კონტრაქტის დოკუმენტური მტკიცებულება. 4. პროცედურასთან დაკავშირებით განმახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა შესრულდეს, და დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულონ იმპორტიორებმა,					აღნიშნული დარეგულირებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით, კერძოდ. მუხლი 26^3. ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები 1. ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც

	შესაძლოა განისაზღვროს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.					მოიცავს მცენარის, მცენარეული პროდუქტის, სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის ვიზუალურ შემოწმებას (დახედვას) მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტისა და რეექსპორტის დროს, აგრეთვე

						საკარანტინო ზონაში: ა) მცენარესთან, მცენარეულ პროდუქტთან, სხვა ფიტოსანიტარიულ რეგულირებად ობიექტთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმებას; ბ) ტვირთის იდენტურობისა და მთლიანობის შემოწმებას; გ) დამუშავების ეფექტიანობის შემოწმებას; დ) ფიზიკურ შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში – ნიმუშის აღებას.

ნაწილი VIII კონტროლის ღონისძიებები და საერთო დებულებები მუხლი 12	1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ, რომ მომწოდებლებმა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება იმის საგარანტიოდ, რომ ის შესაბამისობაში იქნება ამ დირექივის მოთხოვნებთან. ამასთან დაკავშირებით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ , რომ სარგავი მასალა ოფიციალურად შემოწმდეს: - სულ მცირე შერჩევითი მეთოდით კონტრლი — სულ მცირე იმ პირებთან მარკეტინგთან დაკავშირებით, რომლებიც პროფესიონალურად ჩართულია დეკორატიული მცენარეების ან სარგავი მასალების წარმოებასა ან გაყიდვაში, რათა შემოწმდეს მოთხოვნებთან შესაბამისობა. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა ასევე აიღონ ნიმუშები საიმისოდ, რომ შეამოწმონ შესაბამისობა. ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის პასუხისმგებელ ოფიციალურ ორგანოებს ნებისმიერ გონივრულ დროს თავისუფლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი მომწოდებლების საწარმოების ყველა ნაწილზე. კომისიამ 2002 წლის 31 დეკემბრისთვის, უნდა წარუდგინოს საბჭოს ანგარიში ამ მუხლში გათვალისწინებული საკონტროლო ღონისძიებების მოქმედების შესახებ ნებისმიერ სხვა შეთავაზებასთან ერთად, რომელიც შეიძლება	N 1	მუხლი 7.	1. გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსებისას ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.	სშ	სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი მუხლი 26^3

	მოიცავდეს ამ დირექტივიდან საცალო ვაჭრობიდან მოთხოვნების ამოღების შეთავაზებებს.					
	2. ამ დირექტივის შესაბამისად ოფიციალური ინსპექტირებებისთვის დეტალური განხორციელების პროცედურები შეიძლება განისაზღვროს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.				ას	
მუხლი 13	1. თუ, მე-12 მუხლში მითითებული ოფიციალური ინპექტირებების, ან მე-14 მუხლში მითითებული ცდების დროს, აღმოჩნდა რომ სარგავი მასალა არ აკმაყოფილებს ამ დირექტივის მოთხოვნებს, პასუხისმგებელმა ოფიციალურმა ორგანომ, უნდა უზრუნველყოს, რომ მომწოდებელი განახორციელებს სათანადო გამოსასწორებელ ღონისძიებას ან, თუ ეს შეუძლებელია, აკრძალავს სარგავი მასალის მარკეტინგს თანამეგობრობაში.	N 1	მუხლი 7.	2. თუ აღმოჩნდა, რომ ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული გასამრავლებელი მასალა არ შეესაბამება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორის მიმართ უნდა გატარდეს საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით განსაზღვრული ღონისძიებები.	სშ	
	2. თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტული მომწოდებლის მიერ რეალიზებული სარგავი მასალა არ შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს, დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები აღნიშნული მიმწოდებლის მიმართ.	N 1	მუხლი 7.	2. თუ აღმოჩნდა, რომ ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული გასამრავლებელი მასალა არ შეესაბამება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორის მიმართ უნდა გატარდეს საქართველოს	სშ	

				კანონმდებლობით დაგენილი წესით განსაზღვრული ღონისძიებები.		
	3. მე-2 პარაგრაფის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეწყდეს მაშინვე, როგორც კი დადგინდება, რომ მომწოდებლის მიერ მარკეტინგისთვის განკუთვნილი სარგავი მასალა მომავალში შესაბამისობაში იქნება ამ დირექტივის მოთხოვნებთან და პირობებთან.				ას	
მუხლი 14	1. სადაც შესაძლებელია, გამოცდები ან ტესტები უნდა განხორციელდეს წევრ სახელმწიფოებში ნიმუშებზე, იმის შესამოწმებლად, რომ სარგავი მასალა შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს და პირობებს. კომისიამ შესაძლოა მოაწყოს ცდების ინსპექტირება წევრი სახელმწიფოებისა და კომისიის წარმომადგენლების საშუალებით.	N 1	მუხლი 7.	3. საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მოთხოვნებთან გასამრავლებელი მასალის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, აღებული უნდა იქნეს ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.	სშ	
	2. თანამეგობრობის შედარებითი ტესტები და ცდები შესაძლოა განხორცირლდეს თანამეგობრობის ფარგლებში იმ სარგავი მასალის ან დეკორატიული მცენარეების ნიმუშების პოსტ-კონტროლისთვის, რომელიც გატანილია ბაზარზე ამ დირექტივის შესაბამისად, იქნება ეს სავალდებულო თუ შეხედულებისამებ, მათ შორის				ას	

	მცენარის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დირექტივების შესაბამისად. შესადარისი ტესტები და გამოცდები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს: — მესამე ქვეყნებში წარმოებული სარგავი მასალა, — ორგანული სამეურნეო სამქინობისთვის შესაფერისი სარგავი მასალა, — სარგავი მასალა, რეალიზებული გენეტიკური მრავალფეროვნების კონსერვაციისთვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.					
	3. ეს შესადარისი ტესტები და ცდები გამოყენებული უნდა იყოს დეკორატიული მცენარების სარგავი მასალის შემოწმების ტექნიკური მეთოდების ჰარმონიზაციისთვის და იმ პირობების შესამოწმებლად, რომელსაც ეს მასალა უნდა შეესაბამებოდეს.				ას	
	4. კომისიამ, რომელიც მოქმედებს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, უნდა განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები შესასრულებელი შესადარისი ტესტებისა და ცდებისთვის. კომისიამ უნდა აცნობოს მე-17 მუხლში მითითებულ კომიტეტს ტესტებისა და გამოცდების ჩატარების ტენიკური ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. როცა პრობლემები წარმოიქმნა 2000 წლის 8 მაისით დათარიღებული 2000/29/EC დირექტივით მოცული ორგანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება თანამეგობრობაში				ას	

	მცენარეებისთვის ან მცენარეული პროდუქტებისთვის საშიში ორგანიზმების შეტანასა და გავრცელებას თანამეგობრობის ფარგლებში (1), კომისიამ უნდა აცნობოს მცენარეთა ჯანმრთელობის შესახებ მუდმივმოქმედ კომიტეტს, რომელიც უნდა შეუთანხმდეს პროტოკოლების შესახებ თანამეგობრობას, სადაც ეს ორგანიზმები გათვალისწინებულია დირექტივით 2000/29/EC.					
	5. თანამეგობრობამ შესაძლოა ფინანსური წვლილი შეიტანოს მე-2 და მე-3 პარაგრაფებში გათვალისწინებული ტესტების და გამოცდების შესრულებაში. ფინანსური შენატანი არ უნდა აღემატებოდეს საბიუჯეტო ორგანოს მიერ განსაზღვრულ მოცულობას.				ას	
	6. ტესტები და გამოცდები, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს თანამეგობრობის ფინანსური შენატანებიდან, და ფინანსური შენატანის უზრუნველყოფის დეტალური წესები, უნდა განისაზრვროს მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.				ას	
	7. მე-2 და მე-3 პარაგრაფებში მითითებული ტესტები და გამოცდები შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ				ას	

	სახელმწიფო ორგანოების ან იურიდიული პირების მიერ, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესაბამისად.					
მუხლი 15	სარგავი მასალის მარკეტინგი, რომელიც შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს, არ უნდა დაექვემდებაროს ამ დირექტივაში მითითებულის გარდა სხვა შეზღუდვებს მომწოდებელთან, ხარისხთან, მცენარეთა ჯანმრთელობასთან, ეტიკეტირებასა და შეფუთვასთან დაკავშირებით.				ას	აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, ვინაიდან პროექტით დადგნენილია, რომ ეს წესი ადგენს და არეგულირებს დეკორატიული მცენარეების გასამრავლებელი მასალის ბაზარზე განთავსების პირობებს მცენარეთა სიჯანსაღისადმი საქართველოს კანონმდებლობით

						დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
მუხლი 16	მე-17 მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოს შეუძლია თავისი მოთხოვნით და გარკვეული პირობების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ამ დირექტივის შესაბამისად გარკვეული ვალდებულებებისგან გარკვეული ტიპისა ან სახეობის სარგავ მასალასთან დაკავშირებით, რომელთა წარმოება მინიმალური ეკონომიკური მნიშვნელობისაა მის ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ეს წინააღმდეგობაში არ იქნება მე-15 მუხლის დებულებებთან.				ას	
ნაწილი IX კომიტეტის პროცედურები მუხლი 17	1. კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ეროპარლამენტისა და საბჭოს (1) (EC) No 178/2002 რეგულაციის 58(1) მუხლის შესაბამისად შექმნილმა მცენარეების, ცხოველების, სურსათისა და საკვები საკითხების მუდმივმოქმედმა კომიტეტმა. ეს კომიტეტი უნდა იყოს კომიტეტი ევროპის პარლამენტის და საბჭოს (2). (EU) No 182/2011 რეგულაციის მნიშვნელობის ფარგლებში.				ას	

	2. როცა მითითება კეთდება ამ მუხლზე, გამოყენებული უნდა იყოს გადაწყვეტილების 9/468/EC (1) მე-4 და მე-7 მუხლები. 1999/468/EC გადაწყვეტილების 4(3) მუხლში მითითებული პერიოდი უნდა განისაზღვროს ერთი თვით.				ას	
	3. კომიტეტმა უნდა მიიღოს პროცედურის მისი წესები.				ას	
მუხლი 18	1. კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ეროპარლამენტისა და საბჭოს (1) (EC) No 178/2002 რეგულაციის 58(1) მუხლის შესაბამისად შექმნილმა მცენარეების, ცხოველების, სურსათისა და საკვები საკითხების მუდმივმოქმედმა კომიტეტმა. ეს კომიტეტი უნდა იყოს კომიტეტი (EU) No 182/2011 რეგულაციის მნიშვნელობის ფარგლებში.				ას	
	2. როცა მითითება კეთდება ამ მუხლზე, გამოყენებული უნდა იყოს 1999/468/EC (2) გადაწყვეტილების მუხლები 5 და 7. 1999/468/EC გადაწყვეტილების 5(6) მუხლში მითითებული პერიოდი უნდა განისაზღვროს სამი თვით.				ას	
ნაწილი X საბოლოო	1. წევრმა სახელმწიფოებმა 1999 წლის 1 ივლისს უნდა აამოქმედოს კანონები, რეგულაციები ან				ას	

დებულებები მუხლი 19	ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივასთან შესაბამისობისთვის..					
	2. როცა წევრი სახელმწიფოები ატარებენ ამ ღონისძიებებს, ისინი უნდა მოიცავდეს მითითებას ამ დირექტივაზე ან უნდა ახლდეს ასეთი მითითება მათი ოფიციალური პუბლიკაციის შემთხვევაში, ასეთი მითითების გაკეთების მეთოდები მიღებული უნდა იყოს წევრი სახელმწიფოების მიერ.				ას	
	3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაუგზავნონ კომისიას ადგილობრივი კანონმდებლობის მთავარი დებულებების ტექსტები, რომლებიც მათ მიიღეს ამ დირეტივით მოცულ სფეროში.				ას	
მუხლი 20	1. დირექტივა 91/682/EEC უნდა გაუქმდეს 1999 წლის 1 ივლისიდან ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს წინამდებარე დოკუმენტის დანართის A ნაწილში მითითებული				ას	

	ტრანსპოზიციასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.					
	2. მითითება გაუქმებულ დირექტივაზე 91/682/EEC უნდა ჩაითვალოს როგორც მითითება ამ დირექტივაზე და წაკითხული უნდა იქნას წინამდებარე დოკუმენტის დანართის B ნაწილში კორელაციის ცხრილის შესაბამისად.				ას	
	3. 91/682/EEC დირექტივის შესაბამისად მიღებული განმახორციელებელი დებულებები ძალაში დარჩება მანამ, სანამ არ შეიცვლება ან გაუქმდება ახალი განმახორციელებელი დებულებებით.				ას	
მუხლი 21	This Directive is addressed to the Member States. ეს დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისთვის.				ას	